


წლიური ანგარიში 2008



მეცნიერებს უახვითარებინსთვილს

წლიური ანგარიში

2008

მეცნიერებს განვითარებისათვის


თბილისი, 2009



კოორდინაცია და რედაქცია: ნათია ჯოხაძე
მასალების მომზადება: რევაზ ასათიანი, ნიკოლოზ ბაქრაძე, თედორე დოლიძე, ზურაბ ხიდეშელი, ლელა ხუბუტია, ნინო დემეტრაშვილი, დოდო ქვარცხავა, მაკა ქაჯაია, ეკატერინე ლეჟავა, ეკატერინე ბუთლიაშვილი, მარიამ იაშვილი, მათა ჭანტურია, ვახტანგ ალანია, ხვიჩა წაქაძე.
კომპილაცია და გრაფიკული უზრუნველყოფა: ლელა ხუბუტია
საგამომცემლო მენეჯმენტი: ლელა ხუბუტია
გრაფიკული დიზაინი: მაკა ცომაია

ყდაზე გამოყენებული ფოტო: სამეცნიერო გრანტი - “ფართო სპექტრულ უბანში პოლარიზაციულად მგრძობიარე არეების მიღება, კვლევა და გამოყენება” (GNSF/ST06/4-022), სამეცნიერო ხელმძღვანელი — ვლადიმერ ტარასაშვილი, სსიპ კიბერნეტიკის ინსტიტუტი.

სარჩევი



1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2008	18
1.1. რეგისტრირებული პროექტები	
1.2. კონკურსის შედეგები	
1.3. დაფინანსებული პროექტები	
2. 2006 და 2007 წლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი	26
3. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2008	33
3.1 რეგისტრირებული პროექტები	
3.2. კონკურსის შედეგები	
3.3 დაფინანსებული პროექტები	
4. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი	42
5. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები 2008	44
6. სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის 2008	48
7. ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის პროგრამები	50
7. 1. ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიები	
7. 2. ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიები	
8. 2006-2007 წლებში გრანტით შექმნილი აპარატურით და ბიბლიოთეკით სარგებლობის სტატისტიკა	54
9. საერთაშორისო თანამშრომლობა	56
9.1. აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)	
9.2. უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი (STCU)	
9.3. ევრო-ატლანტიკური ალიანსი (NATO)	
9.4. ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამა - FP7	
9.5. პროექტი INNOTRANS	
9.6. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (CNRS)	
9.7. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC)	
10. ფინანსური ანგარიში	62
11. კორესპონდენცია	64
ანგარიშიში გამოყენებული ფოტოების ნუსხა	66

ნათია ჯოხაძე

საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის დირექტორი



მეცნიერება ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. 2005 წელს დაწყებული რეფორმების შედეგად შეიცვალა მეცნიერების მართვისა და დაფინანსების მოძველებული და რეგრესიული მოდელი. შედეგად, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა ჩამოყალიბებულიყვნენ დამოუკიდებელ ორგანიზაციებად და თავად ეწარმოებინათ სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესები. ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებამ საშუალება მისცა მეცნიერთა ჯგუფებს საჯარო ღია კონკურსების გზით, კონკურენტულ გარემოში, აპრობირებული საერთაშორისო საექსპერტო შეფასების საფუძველზე სახელმწიფოსგან მიეღოთ დაფინანსება სამეცნიერო კვლევების საწარმოებლად.

სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდა არა მხოლოდ მეცნიერთა საბაზისო დაფინანსება, არამედ კვლევებზე და განვითარებაზე გამოყოფილი თანხები. თუ 2003-2004 წლებში მეცნიერებაზე დაიხარჯა 5 მლნ ლარამდე, 2008 წელს სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერება 42 მლნ ლარზე მეტით დაფინანსდა, სადაც 10 მლნ ლარზე მეტი საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გასცა 10-ზე მეტი პროგრამის ფარგლებში. სამეცნიერო გრანტებმა და ფონდის მიერ წარმართულმა სხვა პროგრამებმა საშუალება მისცეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, მეცნიერებაში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს და უშუალოდ მეცნიერებს, შეექმნათ კვლევებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მოენესრიგებინათ სამუშაო გარემო და ლაბორატორიები, შეეძინათ სამეცნიერო ლიტერატურა, განეხორციელებინათ ექსპედიციები და სხვადასხვა სამუშაოები, მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში და გაეზიარებინათ საკუთარი და საერთაშორისო გამოცდილება მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამების საშუალებით 2008 წელს 400-მდე სამეცნიერო კვლევა დაფინანსდა. ფონდის მიერ ადმინისტრირებულ პროგრამებში 3000-ზე მეტმა სხვადასხვა რანგის მეცნიერმა, ასევე 10 000-ზე მეტმა ადამიანმა და მათ შორის სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

კონკურენციაზე დაფუძნებულმა მეცნიერების მართვისა და დაფინანსების ამ მოდელმა, რომელიც ეფექტური და პროდუქტიულია წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის სიცოცხლისუნარიანობა აჩვენა. სამეცნიერო მენეჯმენტის ამ მოდელმა მოწონება დაიმსახურა მეცნიერ-ექსპერტებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სამეცნიერო ფონდი მონაწილეობს მნიშვნელოვან საერთაშორისო პროგრამებში, როგორცაა ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამა, სადაც იგი თანამშრომლობს 21 ქვეყნის 23-ზე მეტ ორგანიზაციასთან. ასევე უკრაინის სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდთან, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ესტონეთის სამეცნიერო ფონდ “არქიმედესთან”.

2008 წელს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ცენტრმა (CNRS) გააფორმეს შეთანხმება თანამშრომლობაზე, სადაც უმთავრეს მიზნად საქართველოს და საფრანგეთის მეცნიერების ერთობლივი საქმიანობის ხელშეწყობა დაიგეგმა.

სამეცნიერო ფონდი განაგრძობს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში ინტეგრაციის მხარდაჭერას ერთობლივი სამეცნიერო კვლევების, სამოგზაურო გრანტების და კონფერენციების დაფინანსებით. ფონდი ასევე აქტიურად არის ჩართული ჩვენი მეცნიერების ხელშეწყობით ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტში, როგორცაა ევროპის ატომური კვლევების ცენტრი (CERN).

2008 წელს ფონდმა მთელი რიგ ინიციატივებს ჩაუყარა საფუძველი: მათ შორის უდაოდ გამოსაყოფია მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა, რომლის უმთავრეს მიზანს სკოლის მოსწავლეებისათვის სამეცნიერო საფუძვლების და მიღწევების გაცნობა წარმოადგენს. ამ პროგრამით ჩვენ ვფიქრობთ ადრეულ ასაკშივე ვაზიაროთ მოსწავლეები იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც სამეცნიერო კრიტიკული აზროვნებისთვის არის დამახასიათებელი.

ამ ეტაპზე, სახელმწიფოს განვითარების პროცესში, სამეცნიერო ფონდის მიერ დასახული სამომავლო გეგმები ორიენტირებულია: მეცნიერული კვლევების სისტემურ მიდგომებზე, სამეცნიერო კვლევის ტექნოლოგიის განვითარებასა და თანამედროვე ინოვაციებზე, სამეცნიერო კადრების მომზადებაზე და ევროპის და აშშ-ს მეცნიერებთან და სამეცნიერო ჯგუფებთან ინტეგრაციაზე.


ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება სახელმწიფოში სიმდიდრის წარმოებისა და განვითარების საფუძველი უნდა გახდეს, სახელმწიფოს მიერ დასახულ ინოვაციურ პოლიტიკას კი შეუძლია აწარმოოს გარდაქმნები — სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში — რისი ხელშეწყობაც სხვა სამეცნიერო ინსტიტუციებთან ერთად ევალება საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

პატივისცემით

ნათია ჯოხაძე

მოვლენები, ფაქტები, მიღწევები

03.01.08 ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად უონჯურის შედეგები



2007 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთობლივად გამოაცხადეს პირველი კონკურსი - ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოპოვების შესახებ.

საკონკურსო შერჩევის საფუძველზე 2008 წლის იანვრიდან ერთი წლის მანძილზე 10 ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას.

03.01.08 ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად უონჯურის შედეგები



2007 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ერთობლივად გამოაცხადეს პირველი კონკურსი - ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოპოვების შესახებ. საკონკურსო შერჩევის საფუძველზე 2008 წლის იანვრიდან ერთი წლის მანძილზე 10 ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას.

16.01.08 პირველი სამუშაო შეხვედრა პროექტის: „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“ ფარგლებში, ქ. ათენში



2008 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მუშაობა პროექტზე „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“, რომელიც დაფინანსებულია „კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის“ მიერ.


პროექტში მონაწილეობს ოცდაერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, რომელსაც წარმოადგენს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. მიმდინარე წლის 16-18 იანვარს ქ. ათენში ჩატარდა აღნიშნული პროექტის დაწყებასთან დაკავშირებული პირველი შეხვედრა ყველა პარტნიორი ქვეყნის მონაწილეობით, სადაც დაზუსტდა სამუშაო გეგმა და ღონისძიებების გრაფიკი.

21.01.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეექვსე სხდომა



2008 წლის 21 იანვარს გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეექვსე სხდომა, სადაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა სესფ-ისა და CRDF/GRDF-ის ერთობლივი კონკურსების: “ბიზნეს-პარტნიორობის კონკურსის” და „ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ შედეგები.

25.01.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეშვიდე სხდომა



2008 წლის 25 იანვარს გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეშვიდე სხდომა, სადაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა 2007 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების რანჟირებული სია, სულ 108 პროექტი 18 მილიონ ლარზე მეტი საერთო ბიუჯეტით.

16.02.08 ბიბლიოთეკის პრეზენტაცია იღ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბიბლიოთეკა მოიცავს როგორც ბეჭდურ სამეცნიერო ლიტერატურას, აგრეთვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემების უახლეს ელექტრონულ ბაზებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის საშუალება ექნებათ როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, აგრეთვე სტუდენტებს. გრანტის შედეგად იღ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიძინა 65 613 ლარის ლიტერატურა.

22.02.08 სამეცნიერო აპარატურის პრეზენტაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო გელერეა „უნივერს“-ში



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო აპარატურის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო გალერეა „უნივერს“-ში. გრანტი მიიღო სსიპ “თბილწყალგეო“-სა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივმა პროექტმა. სა-

მეცნიერო აპარატურა უზრუნველყოფს:

- მოკლე დროში, დიდი სიზუსტით, სხვადასხვა კონსტრუქციების მდგომარეობის სრულ დიაგნოსტიკას;
- ნაგებობების წყალქვეშა ნაწილების ზუსტ დიაგნოსტიკას;
- საქართველოს პორტების მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას;
- ნებისმიერი წყალქვეშა საინჟინრო ნაგებობების დასაპროექტებლად რელიეფის სრულ შესწავლას და დიაგნოსტიკას.

პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბ-ნი გია ნოდია, სესფ-ის დირექტორი ქ-ნი ნათია ჯოხაძე და აპარატურის მწარმოებელი შვეიცარული კომპანიის წარმომადგენელი.

26.02.08. სამეცნიერო საგრანტო უონჟურსების ადმინისტრირების შესახებ სამუშაო შეხვედრები



26, 28 და 29 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სამეცნიერო საგრანტო კონკურსების ადმინისტრირების შესახებ მოაწყო სამუშაო შეხვედრები სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრისათვის შემდეგ საკითხებზე: 1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება; ა) ექსპერტთა შეფასებების გაანგარიშების მეთოდის ვარიანტების განხილვა; ბ) სამეცნიერო ქვემიმართულებების (კლასიფიკატორის) განხილვა. 2. 2008 წლის საგრანტო კონკურსების, სტიპენდიებისა და სხვა პროგრამების განხილვა. სამუშაო შეხვედრები ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

17.03.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მერვე სხდომა



2008 წლის 17 მარტს გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მერვე სხდომა, სადაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა 2008 წლის სამეცნიერო პროგრამები და 2008 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების საკითხები.

23.03.08 NATO-ს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ ფარგლებში ქართველი მეცნიერების მონაწილეობის ხელშეწყობა



სესფ-მა ახალ ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი: NATO-ს სამეცნიერო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობისა და NATO-ს ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამარჯვებულ ქართველ მეცნიერებს სტიპენდიებს გადასცემს. სტიპენდია მოიცავს NATO-ს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ ფარგლებში გამოცხადებულ ორ ქვეპროექტს: „მეცნიერება მშვიდობისათვის“ (SfP) და „ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტები“ (NIG).


24.03.08 NATO-ს სამეცნიერო გრანტების მიმღებ ქართველ მეცნიერთა სახელმწიფო სტიპენდიებით დაჯილდოება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბ-ნი გიანოიას და სესფ-ის მიერ



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა NATO-ს სამეცნიერო პროგრამების გამარჯვებულ ქართველ მეცნიერებს სახელმწიფო სტიპენდიები გადასცეს. სტიპენდიით დაჯილდოვდა 47 მეცნიერი NATO-ს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“

ორი ქვეპროგრამის: „მეცნიერება მშვიდობისათვის“ (SFP) და „ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტები“ (NIG) პროექტის ფარგლებში.


31.03.08 უონჟუსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად



სესფ-მა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოაცხადეს რიგით მეორე კონკურსი. კონკურსის მიზანია, იმ ახალგაზრდა მეცნიერთა (მეცნიერ-თანამშრომლები და დოქტორანტები) ნახ-

ალისება, რომლებიც მუშაობენ ან/და სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებების განხრით და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით. სტიპენდიის დაფინანსება ხორციელდება სესფ-ის მიერ.

31.03.08 უონჟუსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეჯუას სტიპენდიის მოსაპოვებლად



სესფ-მა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოაცხადეს რიგით მეორე კონკურსი. კონკურსის მიზანია, იმ ახალგაზრდა მეცნიერთა (მეცნიერ-თანამშრომლები და დოქტორანტები) ნახალისება, რომლებიც მუშაობენ ან/და სწავლობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკის, მექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით და თავს იჩენენ აქტიური სამეცნიერო საქმიანობით.

სტიპენდიის დაფინანსება ხორციელდება სესფ-ის მიერ.

08.04.08. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების უონჟუსი 2008



საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2008 წლის 8 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მესამე კონკურსი. პროექტების რეგისტრაცია განხორციელდა 8 სამეცნიერო მიმართულებით: 1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; 2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 3. მათემატიკა, მექანიკა 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

და გარემო; 6. სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები.

11.04.08 საზღვაო ტექნიკური ცენტრის პრეზენტაცია ბათუმის საზღვაო აკადემიაში



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა ბათუმის საზღვაო აკადემიაში. ბიბლიოთეკის პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბ-ნი გია ნოდია და სესფ-ის დირექტორი ქ-ნი ნათია ჯოხაძე. ბიბლიოთეკა მოიცავს ბეჭდურ საზღვაო ტექნიკურ, იურიდიულ, ტერმინოლოგიურ და სხვა ლიტერატურას. ბიბლიოთეკით სარგებლობის საშუალება ექნებათ როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, აგრეთვე სტუდენტებს. გრანტის შედეგად ბათუმის საზღვაო აკადემიამ შეიძინა 18, 640 ლარის ლიტერატურა.

16.04.08. 16-17 აპრილს ჩატარდა პროფესიული უნარ-ჩვევების სემინარი ახალგაზრდა მეცნიერთათვის



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF) პარტნიორობით 16-17 აპრილს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროფესიული უნარ-ჩვევების სემინარი ახალგაზრდა მეცნიერთათვის. სემინარი მიზ-

ნად ისახავდა ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობას სამეცნიერო კარიერის დაგეგმვაში. სემინარი ჩატარდა შემდეგ თემებზე: 1. საგრანტო წინადადების მომზადება; 2. დამოუკიდებელ-ექსპერტიზა-გასაველელი პუბლიკაციების მომზადება; 3. საკონფერენციო მოხსენებების მომზადება. სემინარზე მონაწილე იყო 50-მდე ახალგაზრდა მეცნიერი უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, როგორც თბილისიდან, აგრეთვე საქართველოს რეგიონებიდან. სემინარს უძღვებოდნენ ჩარლზ დანლაპი (Charles Dunlap) და ელდარ იმანვერდიევი (Eldar Immanverdiyev) CRDF-დან.

14.05.08. ინსტრუმენტული ანალიზის თანამედროვე სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის გახსნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში



ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ინსტრუმენტული ანალიზის ეროვნული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. გრანტის შედეგად შეძენილ იქნა 5 უნიკალური აპარატურა. ინსტრუმენტული ანალიზის ცენტრში შესაძლებელი იქნება ქიმიურ ნივთიერებათა კომპლექსური კვლევა, რა-

საც ანალოგი არ ექნება საქართველოში. ცენტრი პრინციპულად შეცვლის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმე-

ტყველო ფაკულტეტზე ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხს და მაქსიმალურად მიუახლოვებს მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს. ცენტრით სარგებლობა შეეძლება როგორც მეცნიერებს, აგრეთვე ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეორგაფიის, მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებს.

15.05.08. ხესფ-ის დირექტორი ქ. ქუთაისში აუაჟი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო უონფერენციას დაესწრო



ქ. ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თანამედროვე ტექნოლოგიები და მასალები”. სადაც მინვეული იყვნენ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ქ-ნი ნათია ჯოხაძე და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგისა და ანალიზის სამსახურის

უფროსი ბ-ნი ზურაბ ხიდუელი. კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ხელმძღვანელებმა.

27.05.08 ჰირველი სასწავლო სემინარი ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის სფეროში (პროგრამა INNOTRANS)



2008 წლის 27-29 მაისს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული იყო ჰირველი სასწავლო სემინარი ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: “საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის

გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში (INNOTRANS)”. ესტონეთის მხრიდან პროექტის შესრულებაში მონაწილეობდნენ ესტონეთის განვითარების ფონდის, არქიმედესის ფონდის და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტის ექსპერტები. პროექტის მიზანია საქართველოში ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის პროცესების ხელშემწყობა, მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტებსა და წამყვან კვლევით ორგანიზაციებში მდგრადი და განვითარებადი სტრუქტურების შექმნის გზით, და წინასწარ შერჩეულ ქართველ ექსპერტთა ჯგუფისთვის ამ სფეროში არსებული ისეთი მონინავე მიდგომებისა და მეთოდების გაცნობა, რომლებიც წარმატებით იქნა აპრობირებული ესტონეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სისტემაში.

18.06.08 ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო უონფერენცი



2008 წლის 18 ივნისს, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF), საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (სესფ) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა (სსგფ) გამოაცხადეს ბიზნეს-პარტნიორობის მეორე საგრანტო კონკურსი. პროგრამის მიზანია სამენარმეო იურიდიულ პირებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგე-

ბლო თანამშრომლობისა და ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

23.06.08 ბიომრავალფეროვნების უცვლელ ცენტრის გახსნა იცია ქაქავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში



ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა დააფინანსა ილია ქაქავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიომრავალფეროვნების კვლევის ცენტრის შექმნის პროექტი. უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების კვლევის ცენტრი პირველი და უნიკალურია კავკასიის რეგიონში. კვლევის ცენტრი მოიცავს სამ დაკავშირებულ ლაბორატორიას: 1. სრულად აღჭურვილ მოლეკულურ - გენეტიკურ ლაბორატორიას, სადაც ორგანიზმების დნმ-ის შესწავლა ხდება ყველა დონეზე (დნმ გამოყოფა, ჯაჭვური პოლიმერაზის რეაქცია, ანალიზი); 2. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ლაბორატორიას (ცხოველებისა და მცენარეების გავრცელების შესახებ მონაცემთა კონცენტრაცია და კომპიუტერიზებული ანალიზი); 3. მორფომეტრიულ ლაბორატორიას (ცხოველებისა და მცენარეების მორფოლოგიური სტრუქტურების კომპიუტერიზებული ანალიზი). ასევე ცენტრს გააჩნია აუცილებელი აღჭურვილობა სავსე კვლევებისათვის.

27.06.08. საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საფრანგეთის სამეცნიერო უცვლელ ცენტრმა (CNRS) ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს




საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრმა (CNRS) ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) დელეგაციას ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისის დირექტორი ბატონი ფრედერიკ ბენოლიელი (Frédéric Benoliel). მემორანდუმი ითვალისწინებს ქართველი და ფრანგი მეცნიერების ერთობლივი პროექტების ხელშეწყობას.

29.06.08 ახალგაზრდა მეცნიერთა დაჯილდოება



2008 წლის 29 ივნისს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარბაზში გაიმართა სესფ-ის 2007 წელს გამოცხადებული პროგრამის “ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების” მიმღებთა დაჯილდოება. მათ გადაეცათ სერთიფიკატი საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

30.06.08. NATO-ს სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში სასწავლო სემინარი გაიმართა



სემინარი სახელწოდებით “საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკა, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ხელშემწყობი საშუალება” ჩატარდა პროგრამის “მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის - მოწინავე სწავლების კურსი“-ს ფარგლებში. NATO-ს პროგრამა ემსახურება უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას ევრო-ატლანტიკურ სივრცეში და აქტუალურია,

როგორც NATO-ს წვერი ქვეყნებისთვის, ასევე პარტნიორი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. სემინარის ორგანიზატორები არიან საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ესტონეთის სამეცნიერო ფონდი „არქიმედესი“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 70-მდე ქართველმა, ესტონელმა, ინგლისელმა, ბერძენმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მეცნიერმა და ექსპერტმა.

02.07.08 ხესფ-მა გამოაცხადა რიგით მეორე უონეურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად



ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი მიზნად ისახავს ქვეყანაში მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშემწყობას საგრანტო დაფინანსების გზით. გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2008 წელს საკონკურსოდ შემოთავაზებული იყო შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები: 1. ქართველოლოგიური მეცნიერებები; 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;

3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები.

14.07.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ქართველ მეცნიერთან ერთად CERN-ს ეწვია



2008 წლის 14-17 ივლისს სესფ-ის დირექტორი ქ-ნი ნათია ჯოხაძე სამ ქართველ მეცნიერთან ერთად ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის ატომური კვლევების ორგანიზაციაში (CERN). ქართული მხარის ვიზიტი ორგანიზებული იყო უკრაინის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (STCU) მიერ და მიზნად ისახავდა CERN -ში მომუშავე ქართველ მეცნიერთან შეხვედრას, სამომავლო ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვას.

ვიზიტის ფარგლებში ფონდის დირექტორი შეხვდა CERN -ში მომუშავე ქართველი მეცნიერების ჯგუფს და ცენტრში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელებს.

23.07.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდმა დაიწყო მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა.



მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა და გამოცხადდა ახალი კონკურსი “სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის”, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობას, მეცნიერების მიღწევებისა და სიახლეების გაცნობას, თანამედროვე სამეცნიერო

ცოდნის მიწოდებას და მათ დაინტერესებას მეცნიერებით. პროგრამა განხორციელდება სამეცნიერო-პოპულარული ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების სახით საქართველოს 3 ქალაქში: თბილისში, ქუთაისსა და გორში 2008 სასწავლო წელს.

29.07.08. ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო აპარატურის პრეზენტაცია.



შეძენილი აპარატურა საშუალებას მისცემს ინსტიტუტის თანამშრომლებს განახორციელონ მრავალი ტიპის სტრუქტურული, ბიოქიმიური, მოლეკულური, ელექტროფიზიოლოგიური და ბიოფიზიკური კვლევები უჯრედულ და მოლეკულურ დონეზე. ამ აპარატურის საშუალებით შესაძლებელი გახდება ცოცხალი უჯრედების ორგანოების და ბიომოლეკულების ნანომეტრულ დონეზე შესწავლა.

08.08.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეცხრე სხდომა



2008 წლის 8 აგვისტოს გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეცხრე სხდომა, სადაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა სესფი-სა და უსტც-ს ერთობლივი კონკურსის შედეგები და 2008 წლის ინდივიდუალური სამოგზაურო კონკურსის შედეგები.

09.09.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდმა, აშშ სამოქალაქო უცხოელებისა და განვითარების ფონდმა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა გამოაცხადეს ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის რიგით მეორე ეროვნული პროგრამა 2008



საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა გამოაცხადეს ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა 2008. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევები, მათ შორის 3 თვის მანძილზე აშშ წამყვან უნივერსიტეტებში და სამეცნიერო ცენტრებში.

07.10.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შეძენილი სამეცნიერო ლიტერატურის პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში



2008 წლის 7 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. შეძენილი ბიბლიოთეკა მოიცავს როგორც ბეჭდურ სამეცნიერო ლიტერატურას, ასევე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და ელექტრონულ რესურსებს. სამეცნიერო ლიტერატურა განთავსებულია ფაკულტეტების ბიბლიოთეკებში და ამ ლიტერატურით სარგებლობის საშუალება ექნებათ როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებს. ლიტერატურის შეძენაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 85 257 ლარი.

20.10.08 დაიწყო პროგრამის განხორციელება „სამეცნიერო-პოპულარული ინიციატივების“



დაიწყო პროექტის განხორციელება ქ. გორში. პირველი ლექცია ჩატარდა ასტრონომიაში ქ. გორის №3 საჯარო სკოლაში. ლექციას ესწრებოდნენ გორისა და მიმდებარე სოფლების X, XI და XII კლასის მოსწავლეები, სესფ-ის დირექტორი ქ-ნი ნათია ჯობაძე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

31.10.08 ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო უნივერსი 2009



2008 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა კონკურსი 2009 წელს დადგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებზე. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერებს და მეცნიერების პოლიტიკაზე მომუშავე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციების თანამშრომლებს მიიღონ მონაწილეობა საერთა-

შორისო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიერონ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყონ ქართველი კოლეგების საერთაშორისო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

02.12.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეთაურობით



2008 წლის 2 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეთაურობით, სადაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტო კონკურსის შედეგები, 2008 წლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის ი. ვეკუას და ი. ბერიტაშვილის სტიპენდიების მოსაპოვებლად სტიპენდიანტთა ნუსხა, 2008 წლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად სამეცნიერო პროექტების ნუსხა.

02.12.08 ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად უონჟურსის შედეგები



2008 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ რიგით მე-10 სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცხადებული კონკურსის “ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად” ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული 5 სტიპენდიანტის ნუსხა.

02.12.08 ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად უონჟურსის შედეგები



2008 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ რიგით მე-10 სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცხადებული კონკურსის „ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის მოსაპოვებლად” ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული 10 სტიპენდიანტის ნუსხა.

02.12.08 ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების უონჟურსის შედეგები



სესფ-ის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2008 წლის 2 დეკემბერს დამტკიცდა 55 პროექტი, რომელიც სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: 1. ქართველოლოგიური მეცნიერებები — 9 პროექტი; 2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები — 12 პროექტი; 3. მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები — 4 პროექტი; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები — 3 პროექტი; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო — 8 პროექტი; 6. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები — 12 პროექტი; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები — 3 პროექტი; 8. აგრარული მეცნიერებები — 4 პროექტი.

04.12.08 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის პრეზენტაცია აჯაუი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში



2008 წლის 4 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო ლიტერატურის პრეზენტაცია აჯაუი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ლიტერატურის შექმნაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 25 316 ლარი.

05.12.08 საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მეცნიერების პროგრამის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გამოაცხადა 2009 წლის უონჰუსი „სამეცნიერო-პროგრამული დეკრეტი საჯარო სუბიექტებისათვის“



პროგრამის ფარგლებში 2008 წლის კონკურსი მოიცავს მეცნიერების შემდეგ სფეროებს: ა) ქიმია; ბ) ფიზიკა; გ) ბიოლოგია და მედიცინა; დ) კოსმოლოგია და ასტრონომია; ე) გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია; ვ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ზ) მათემატიკა. დეკრეტი ჩატარდება 2009 წელს საქართველოს ცხრა ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი, ფოთი.

08.12.08 სასტუმრო ქორთიარდ-მარიოტში გაიმართა ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო უონჰუსის შედეგების პრეზენტაცია და დასაფინანსებლად შეირჩა 6 პროექტი



აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF), საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა 2008 წლის 8 დეკემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტ“-ის საკონფერენციო დარბაზში ჩაატარეს სამენარმეო კონფერენცია.

აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) ერთობლივი ბიზნეს პარტნიორობის საგრანტო პროგრამის (BPG-2008) ფარგლებში წარმოდგენილი იყო 42 განაცხადი. ქართველი და ამერიკელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ დასაფინანსებლად რეკომენდაცია გაუწია ექვს პროექტს, რომელთა დაფინანსებაც დაიწყება 2009 წლის იანვრიდან. პროექტების საერთო ბიუჯეტი 240 000 ლარი.

10.12.08 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის აღჭურვა ახალი სამეცნიერო ლიტერატურით



2008 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო ლიტერატურის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ლიტერატურის შეძენაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 85 118 ლარი.

19.12.08 „მიზნობრივი უძევებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის ხელხა და უსტე-ის ერთობლივი მესამე უონჰუსი - 2009



2008 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა ცენტრმა გამოაცხადეს მესამე ერთობლივი კონკურსი „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის ფარგლებში. კონკურსი მოიცავს სამ სფეროს: 1. ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ; 2. ენერგოეფექტურობა; 3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

საქმიანობა

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების უონჟურსი 2008

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2008 წლის 8 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მესამე კონკურსი (2008).

1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი წარმოადგენს მეცნიერების რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.
2. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია, ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე გამოავლინოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.

2007 წელს შეიქმნა რუსთაველის ფონდი, რომელსაც გადაეცა 2006 და 2007 წლებში ქართველოლოგიაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგში გამარჯვებული პროექტები. აქედან გამომდინარე, მოხდა სამეცნიერო მიმართულებების გადახედვა და ჩამოყალიბდა ახალი 8 სამეცნიერო მიმართულება.


2008 წლიდან პროექტების რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი 8 სამეცნიერო მიმართულებით:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. ედამინის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მატერიალური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

1.1. რეგისტრირებული პროექტები


უონკურსში მონაწილეობა 616 პროექტი

გრაფიკი 1.
რეგისტრირებული პროექტები 2006, 2007 და 2008 წლებში



პროექტები წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციების მიერ.

გრაფიკი 2.
კონკურსში მონაწილე ორგანიზაციები იურიდიული სტატუსის მიხედვით (სულ 102 ორგანიზაცია)




კონკურსში პროექტები წარმოდგენილი იყო მეცნიერთა ჯგუფების მიერ, ხოლო გრანტის მიმღები ორგანიზაცია შეიძლება იყოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან არასამთავრობო ორგანიზაცია.

სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, თითოეული პროექტისათვის მოთხოვნილი თანხა წელიწადში უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 50 000 ლარისა, ხოლო ორ და სამწლიან პროექტებზე, შესაბამისად, არაუმეტეს 100 000 და 150 000 ლარისა.

2008 წელს რეგისტრირებული პროექტების საერთო მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 65,491,991.5 ლარი. მიმართულებათა მიხედვით მოთხოვნილი თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა:

* 2006 და 2007 წლებში ქართველოლოგიაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგში გამარჯვებული პროექტები გადაეცა სსიპ რუსთაველის ფონდს


გრაფიკი 3.
რეგისტრირებული პროექტების მოთხოვნილი თანხების გადანაწილება 8 სამეცნიერო მიმართულების მიხედვით



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მატერიალური მეცნიერებები;
8. აგრარული მეცნიერებები

ფონდის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, საკონკურსო პროექტების ხანგრძლივობა განისაზღვრება 6-დან 36 თვემდე. რეგისტრირებული პროექტების დიდი ნაწილი 24-თვიან პერიოდზე იყო გათვლილი.

გრაფიკი 4.
რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება პროექტების ხანგრძლივობის მიხედვით (სულ 616 პროექტი)




გრაფიკი 5.
რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება თანამონაწილე ორგანიზაციების მიხედვით



პროექტების რეგისტრაცია ფონდში ხდება სამეცნიერო მიმართულების მიხედვით კვლევის სამეცნიერო კატეგორიის გათვალისწინებით.

გრაფიკი 6.

რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება კვლევის სამეცნიერო კატეგორიის მიხედვით 2007 და 2008 წლებში.




1.2. უცხოელის შედეგები

პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 1128 უცხოელმა ექსპერტმა (8 სამეცნიერო მიმართულებით).

გრაფიკი 7.

პროექტების შეფასებაში მონაწილე უცხოელი და ქართველი ექსპერტების პროცენტული გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (სულ 1128 უცხოელი და 35 ქართველი ექსპერტი)




ყველაზე მეტი უცხოელი ექსპერტი მონაწილეობდა მათემატიკა, მექანიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში, ყველაზე ნაკლები აგრარული მეცნიერებების მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში.

პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 35 ქართველმა ექსპერტმა.

გრაფიკი 8.


რეგისტრირებული პროექტების შეფასებაში ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობის სტატისტიკა 2006, 2007 და 2008 წლებში



კონკურსის შედეგად ექსპერტების შეფასებების საფუძველზე მიღებული ქულების მიხედვით, ფონდის მიერ წინასწარშემუშავებულ ქულათა ჯგუფში პროექტები ჯამურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 9.


შეფასებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება მიღებული ქულების მიხედვით.*




შეფასების შედეგად პროცენტულად ყველაზე მაღალი ქულები (კარგი — 80-100 ქულა) მიიღეს მათემატიკა, მექანიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ნარმოდგენილმა პროექტებმა.

გრაფიკი 10.

რეგისტრირებული პროექტების საშუალო ქულა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაღტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები




* ცუდი — 0-40; საშუალო — 41-79; კარგი — 80-100

1.3. დაფინანსებული პროექტები


კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩა და დამტკიცდა 161 უმაღლესქუ-
ლიანი პროექტი, რეგისტრირებული პროექტების რაოდენობის 26,14%.

გრაფიკი 11.
დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. ედემიის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

გრაფიკი 12.
დაფინანსებული ორგანიზაციები იურიდიული სტატუსის მიხედვით (სულ 55 ორგანიზაცია)



2008 წელს დაფინანსებული პროექტების საერთო მოთხოვნილება თანხამ 2009, 2010, 2011, 2012 წლების მანძილზე შეადგინა 18,041,613 ლარი.

გრაფიკი 13.
დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ბიუ-
ჯეტის მიხედვით.



ცხრილი 1.

დაფინანსებული პროექტების გადანაწილება ბიუჯეტის მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა გათვალისწინებით

№	სამეცნიერო მიმართულება	პროექტების რაოდენობა	ბიუჯეტი
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები,	8	808 539
2	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები	14	1 537 879
3	მათემატიკა, მექანიკა	17	2 034 298
4	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	27	2 999 230
5	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო	27	3 371 647
6	სამედიცინო მეცნიერებები	18	1 902 608
7	საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები	24	2 379 578
8	აგრარული მეცნიერებები	26	3 007 034
სულ		161	18,041,613

ცხრილი 2.

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა რეგიონებში ორგანიზაციების მიხედვით


№	ორგანიზაციის დასახელება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
1.	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2
2.	საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2
3.	შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7
4.	ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება	2
5.	ბათუმის ბოტანიკური ბაღი	1
სულ		14

ცხრილი 3.

დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა გათვალისწინებით


№	სამეცნიერო მიმართულება	ძირითადი პერსონალის რაოდენობა	ასაკობრივი ჯგუფები					
			30-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70+
1.	საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები	36	6	3	6	6	9	6
2.	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები	72	12	6	14	16	13	11
3.	მათემატიკა, მექანიკა	64	9	2	13	10	20	10
4.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	124	6	9	23	31	30	25
5.	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო	101	15	2	11	26	27	20
6.	სამედიცინო მეცნიერებანი	91	22	4	18	17	21	9
7.	საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები	117	17	10	14	28	34	14
8.	აგრარული მეცნიერებანი	110	7	1	21	34	26	21
სულ		715	94	37	120	168	180	116

გრაფიკი 14.
დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით (სულ 715)



დაფინანსებულ პროექტებს შორის 26 პროექტი არის ერთობლივი-ჯგუფური პროექტი: აქედან, 1 წარმოადგენს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ერთობლივ პროექტს.

გრაფიკი 15.
ჯგუფური პროექტების წილი დაფინანსებულ პროექტებში



გრაფიკი 16.
უნივერსიტეტების და კვლევითი ინსტიტუტების პარტნიორობა



2. 2006 და 2007 წლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი


საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახორციელებდა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების ყოველკვარტალური ტექნიკური (ფინანსური და პროგრამული) ანგარიშების განხილვა-შეფასებას და შესაბამისი მონიტორინგის აქტების მომზადებას, პროექტებში ატარებდა ადგილზე მონიტორინგს. სესფ-ი ესწრებოდა საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ კონფერენციებს, სემინარებს და სადემონსტრაციო დღეებს. მიმდინარეობდა პროექტებში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის შედეგების ანალიზი — სტატისტიკური მასალის მოპოვება და დამუშავება.


2008 წელს მიმდინარეობდა სესფ-ის 2006 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 81 და 2007 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 108 პროექტი.

სულ 2008 წელს ადმინისტრირება გაენია 226 სახელმწიფო და ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო პროექტს:

2008 წელს სულ წარმოდგენილ და განხილულ იქნა 753 უვარტალური ტექნიკური და 189 წლიური სამეცნიერო ანგარიში, აქედან - 2006 წელს დაფინანსებული პროექტების 321 უვარტალური პროგრამული და 81 წლიური სამეცნიერო ანგარიში; 2007 წელს დაფინანსებული პროექტების 432 უვარტალური პროგრამული და 108 წლიური სამეცნიერო ანგარიში.


გრაფიკი 1. ფონდში წარმოდგენილი და განხილული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების ანგარიშების რაოდენობა 2006 და 2007 წელს





სულ შეიქმნა 753 მონიტორინგის აქტი; საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩატარდა 9 სამეცნიერო უონფერენცია, 40 სემინარი, 20 სადემონსტრაციო დღე.


გრაფიკი 2. სამეცნიერო ფონდში 2006 და 2007 წლებში წარმოდგენილი და განხილული სსკ-ს შედეგად დაფინანსებული პროექტების ანგარიშგება



აღვიღზე მონიტორინგი განხორციელდა 83 პროექტში.


2008 წლის ბოლოსათვის სულ დასრულდა 45 სამეცნიერო პროექტი, აქედან 2006 წელს დაფინანსებული პროექტებიდან 40, ხოლო 2007 წელს დაფინანსებული პროექტებიდან - 5

გრაფიკი 3. დაფინანსებული და დასრულებული სახელმწიფო და სამეცნიერო პროექტების რაოდენობა 2006 და 2007 წლებში



45 დასრულებული პროექტის ფარგლებში სულ გამოქვეყნდა 366 სამეცნიერო სტატია, აქედან იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში 151, საერთაშორისო ჟურნალებში 164, ადგილობრივ ჟურნალებში 51

გრაფიკი 4.
2006 და 2007 წლებში წარმოდგენილი და განხილული სსგკ-ს შედეგად დაფინანსებული და დასრულებული პროექტების ავტორთა მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა



გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 85 სტატია, გამოსაცემად მომზადებულია 70 სტატია. გამოიცა 2 წიგნი და 8 ბროშურა, გაფორმდა 7 პატენტი.

მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის სამმართველოში მომზადდა და ეთერში გავიდა 3 რადიოგადაცემა;

ფონდის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებოდნენ საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებსა და სადემონსტრაციო დღეებს.

კონფერენციები

1. 2008 წლის 14-16 მაისს ქუთაისში, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია “თანამედროვე ტექნოლოგიები და მასალები”



2. 2008 წლის 28 მაისს-1 ივნისს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მათემატიკაში “Nomology Theories, K-theory and Homotopy Theory” ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზებით, INTAS-ისა და სესფ-ის ფინანსური მხარდაჭერით. კონფერენციის მასალები განთავსებულია: <http://www.nvst.org.ge/hoconf/welcome.html>

3. 2008 წლის 3-8 ივნისს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში სესფ-ის სამეცნიერო გრანტის “ინტუიციონისტური მოდალური ლოგიკის სემანტიკა: ალგებრული და ტოპოლოგიური მოდელები” ფარგლებში. კონფერენციის მასალები განთავსებულია: <http://www.rmi.acnet.ge/tolo/>

4. 2008 წლის 22-23 სექტემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია “ინფორმაციის ჰოლოგრაფიული და ოპტიკური ჩანერა, შენახვა და დამუშავება HOLOOPTO-2008”. კონფერენციის ორგანიზატორები:

1. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
2. კიბერნეტიკის ინსტიტუტი

კონფერენცია ჩატარდა სესფ-ის გრანტით.



5. 2008 წლის 29 სექტემბერს მე-აბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა სესფ-ის სამეცნიერო საგრანტო პროექტის “თუთის აბრეშუმხვევიას სელექცია კონკურენტუნარიანი ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოსაყვანად, მათი ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა და ცოცხალი გენოფონდის შესწავლა-შენარჩუნება” მუშაობის შემაჯამებელი კონფერენცია.

6. 2008 წლის 1 ოქტომბერს სასტუმრო ვერე პალასის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სესფ-ის სამეცნიერო საგრანტო პროექტის “მთიანი რეგიონების ურბანიზაციის პირობებისა და საინვესტიციო გარემოს საიმედოობის შეფასებისათვის მეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზების დამუშავება და კლიმატური მახასიათებლების თავისებურებათა დადგენა” მუშაობის შემაჯამებელი კონფერენცია.

7. 2008 წლის 7-9 ოქტომბერს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია “Modern Problems in Applied Mathematics”.

8. 2008 წლის 18-19 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია “კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, სტიქიური კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში”.

9. 2008 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია “საქართველოს ანდოსოლების გენეზისური თავისებურებანი და მათი რაციონალური გამოყენება”.

სემინარები

1. 2008 წლის 6 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა სესფ-ის სამეცნიერო გრანტის “ნუკლონ-ნუკლონურ ურთიერთქმედებაში სპინური სტრუქტურის შესწავლა COSY ამაჩქარებელზე” (GNSF/ST06/4-108) სემინარი.

2. 2008 წლის 28 მარტს ჩატარდა სემინარი კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში სესფ-ის სამეცნიერო გრანტის “შენობების საიმედოობის შეფასება სეისმური და აფეთქებითი ზემოქმედებისას მრავალდონიანი დაპროექტების მეთოდოლოგიის საფუძველზე” (GNSF/ST06/7-078) ფარგლებში.

3. 2008 წლის 31 მარტს ჩატარდა სემინარი ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში სესფ-ის სამეცნიერო გრანტის “თუთის აბრეშუმხვევიას სელექცია კონკურენტუნარიანი ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოსაყვანად, მათი ფერმერულ





მეურნეობებში დანერგვა და ცოცხალი გენოფონდის შესწავლა-შენარჩუნება” (GNSF/ST06/8-040) ფარგლებში.

4. 2008 წლის 18 აპრილს ჩატარდა სემინარი აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტში სესფ-ის მიერ დაფინანსებული პროექტის “რადიაციული მუტაგენების მეთოდის შემუშავება თუთის აბრეშუმხვევის ექსტრემალური პირობებისადმი გამძლე და პარკის საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ჯიშის გამოსაყვანად” (GNSF/ST06/8-106) ფარგლებში.


5. 2008 წლის 22-23 აპრილს გაიმართა ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სემინარის გაფართოებული სხდომები. სემინარის ორგანიზებაში და მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სესფ-ის მიერ მათემატიკის მიმართულებით დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტების შემსრულებლებმა. ინფორმაცია განთავსებულია: <http://www.viam.science.tsu.ge/news.html>

6. 2008 წლის 24 აპრილს ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის დიდ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სამეცნიერო სემინარი ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა-სა და კოსმოლოგიაში “ფარული დინამიური სიმეტრიების შესახებ”, სესფ-ის საგრანტო პროექტის “სპინის ფიზიკა: ღრმად არადრეკადი პროცესები და პოლარიზაციული მოვლენები” (GNSF/ST06/4-196) ფარგლებში.

7. 2008 წლის 30 ოქტომბერს სეისმური მონიტორინგის ცენტრში ჩატარდა სემინარი პროექტების “საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიის სიჩქარული აგებულების კვლევა და კავკასიის მიწისძვრების კერის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრა” (GNSF/ST06/5-008) და “სეისმური კოდას ექსპერიმენტული გამოკვლევა ფართო დიაპაზონის მქონე მონაცემების საშუალებით” (GNSF/ST06/5-083) ფარგლებში.

8. 2008 წლის 3 დეკემბერს მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდა სემინარი: “ამინომჟავთა ჩანაცვლების (მსგავსების) მატრიცები” (GNSF/ST06/6-239).

9. 2008 წლის 11 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მუაბრეშუმეობის ინსტიტუტში ჩატარდა სემინარი “თუთის აბრეშუმხვევის პროდუქტიულობის ამაღლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება, ცენტრალიზებული გამოკვებისთვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა” (GNSF/ST06/8-263).



10. 2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში პროექტების №GNSF/ST07/5-206 და №GNSF/ST07/5-215 სამეცნიერო ჯგუფებმა ჩატარეს სამეცნიერო სემინარი “შავი ზღვისა და სანაპირო ზოლის ეკოლოგიური პრობლემები”.

11. 2008 წლის 19 დეკემბერს თსუ მაღლივ კორპუსში ჩატარდა პროექტის “ზოგიერთი დისკრეტული მათემატიკური ლოგიკური ასპექტი” (GNSF/ST07/3-178) სამეცნიერო სემინარი.

12. 2008 წლის 23 დეკემბერს გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში ჩატარდა სემინარი “უჰალოგენო, არატოქსიკური, მინერალური კომპოზიციური ცეცხლმაქრი ფხვნილების შემუშავება” (GNSF/ST06/4-184) და “ბაგირული საევაკუაციო სისტემის საცდელი ნიმუშის შექმნა და ექსპერიმენტული კვლევა” (GNSF/ST06/7-243) პროექტების ფარგლებში.

13. 2008 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სემინარი, სადაც განხილულ იქნა პროექტების “ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება” (GNSF/ST06/8-265) და “პესტიციდებით დაბინძურებული ნიადაგების რეაბილიტაცია” (GNSF/ST06/8-268) შედეგები (წამყვანი ორგანიზაცია — ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი).



